

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტი**

**სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით შექმნილი  
სატენდერო კომისიის სხდომის**

**ოქმი №1**

07 დეკემბერი, 2016 წელი  
ქ. ზუგდიდი (რუსთაველის ქ. №90)

**სხდომას ესწრებოდნენ:**

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

ლაშა გოგია \_ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

სატენდერო კომისიის წევრები

მამუკა წოწერია \_ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე;  
თენგიზ ქობალია \_ ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის  
სამსახურის უფროსი;

რუსლან კილასონია \_ ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის  
სამსახურის უფროსი;

ლაშა ჯაიანი \_ მშენებლობის სამსახურის უფროსი;

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები

ბესიკ ქარდავა \_ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი;  
აქსანა გუჩუა \_ იურიდიული განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის შემადგენლობის უმრავლესობით \_ ხუთი წევრის  
დასწრებით.

**სხდომის დღის წესრიგი:**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შამადელას  
ადმინისტრაციულ ერთეულში, წყალმომარაგების სისიტემის (პირველი ეტაპი) სარეაბილიტაციო  
სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებას მიზნით გამარტივებული ელექტრონული  
ტენდერის აუქციონის გარეშე ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა.

**მოისმინეს:** სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე სატენდერო კომისიის თავმჯდომარის  
ლ. გოგიას ინფორმაცია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის  
შამადელას ადმინისტრაციულ ერთეულში, წყალმომარაგების სისიტემის (პირველი ეტაპი)  
სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით და კომისიას  
განსახილველად გამარტივებული ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე ჩატარების განცხადების  
ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია წარუდგინა.

**სხდომის მსვლელობა:** სატენდერო კომისიამ განიხილა სატენდერო განცხადებისა და სატენდერო  
დოკუმენტაციის პროექტები. დაადგინა ტექნიკური დავალების მონაცემები, საკვალიფიკაციო  
მოთხოვნები, ხელშეკრულების პირობები და პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი სატენდერო  
წინადადების ფორმები. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 8084,30 ლარით.



**კომისიამ გადაწყვიტა:** „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის  
შესაბამისად დამტკიცდეს, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის  
შამადელას ადმინისტრაციულ ერთეულში, წყალმომარაგების სისიტემის (პირველი ეტაპი)  
სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე წარმოდგენილი განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია  
(ტენდერის ჩატარების განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია თან ერთვის).

დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს: უზრუნველყოს ტენდერის ჩატარების თაობაზე განცხადების განთავსება და სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ([www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)). 4

კომისიის წევრები:

- |    |   |             |                |    |  |               |
|----|---|-------------|----------------|----|--|---------------|
| 1. |  | ლ. გოგია    | (თავმჯდომარე). | 4. |  | რ. კილასონია. |
| 2. |  | მ. წოწერია. |                | 5. |  | ლ. ჯაიანი.    |
| 3. |   | თ. ქობალია. |                |    |  |               |

კომისიის აპარატის წევრები:

- |    |   |             |
|----|---|-------------|
| 1. |  | ბ. ქარდავა. |
| 2. |  | ა. გუზუა.   |